საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-345

15/04/2020

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დადგმული სიმძლავრის 2 მგვტ-ით გაზრდასთან დაკავშირებული მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 13 აპრილს სამინისტროს მომართა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს სამინისტროს მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დადგმული სიმძლავრის 2 მგვტ-ით გაზრდასთან დაკავშირებული მშენებლობა და ექსპლუატაცია) გაიცა №20 (01.05.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2016 წელს რეორგანიზაციის შედეგად სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გამოეყო „სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“, რომელიც წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს და ოპერირებას უწევს რამდენიმე ობიექტს, მათ შორის აჭარისწყლის (აწჰესი) ჰიდროელექტროსადგურს. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 20 იანვრის №4/9 გადაწყვეტილებით გაუქმდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ გაცემული ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია და 2017 წლის 20 იანვრის №4/8 გადაწყვეტილებით აღნიშნული ლიცენზია გაიცა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ სახელზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის

განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2015 წლის №20 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დადგმული სიმძლავრის 2 მგვტ-ით გაზრდასთან დაკავშირებული მშენებლობა და ექსპლუატაცია) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 მაისის №ი-298 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2015 წლის №20 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დადგმული სიმძლავრის 2 მგვტ-ით გაზრდასთან დაკავშირებული მშენებლობა და ექსპლუატაცია) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №20; 01.05.2015);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დადგმული სიმძლავრის 2 მგვტ-ით გაზრდასთან დაკავშირებული მშენებლობა და ექსპლუატაცია) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 მაისის №ი-298 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი